საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ „ქ. რუსთავში შპს „ბიოლოგიკას" სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებაზე (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ივლისის N2-645 ბრძანების შესაბამისად, შპს „ბიოლოგიკამ" მოაწყო სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტი და აწარმოებს მის ექსპლუატაციას.

დღეისათვის ობიექტი მუშაობს წელიწადში 240 დღის და დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. მიმდინარე ეპიდემიის პირობებში, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან, შპს „ბოლოგიკას" მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება და მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საჭიროა სამუშაო დღეების და სამუშაო საათების რაოდენობის გაზრდა, კერძოდ, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმიდან 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და წლის განმავლობაში, სამუშაო დღეების 240 სამუშაო დღიდან 330 სამუშაო დღემდე გაზრდა. სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდა, შპს „ბიოლოგიკას" საშუალებას მისცემს მოემსახუროს უფრო მეტ სამედიცინო დაწესებულებას, რაც თავის მხრივ შეამცირებს ინფექციური ნარჩენების გარემოში მოხვედრის რისკებს.

შპს „ბიოლოგიკას" მიერ დაგეგმილი საქმიანობა (საწარმოს სამუშაო რეჟიმის ცვლილება) საჭიროებს სკრინინგის პროცედურის ხელმეორედ გავლას. სკრინინგის პროცედურის ხელმეორედ გავლის საჭიროება, განპირობებულია არა ტექნოლოგიური პროცესის ან ტექნოლოგიური დანადგარების ცვლილებით, არამედ, სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდით. ტექნოლოგიური სქემა და ავტოკლავი (პარამეტრების ჩათვლით) იდენტურია 2020 წლის სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემისა და ავტოკლავისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა" დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის

№ 7656
31.03.22
2/22

N294 დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტში მითითებული შენიშვნის თანახმად, სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება/ქიმიური დეზინფექცია/სტერილიზაცია არ განეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასები კოდექსის რეგულირების სფეროს.

იქიდან გამომდინარე, რომ შპს ,,ბიოლოგიკა'' არ წარმოადგენს "სამედიცინო დაწესებულებას'', მის მიერ განხორციელებული, აბსოლუტურად ანალოგიური პროცესი, კერძოდ, ინფექციური და მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენების ავტოკლავირება, განხილული იქნა ,,სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებად'' და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის 10.4 ქვეპუნქტის თანახმად, დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ:

1. შპს „ბიოლოგიკას" მიმდინარე საქმიანობის სკრინინგის ანგარიშს;
2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატებს shp ფაილების სახით;

და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

დავით მეგრელიშვილი

შპს „ბიოლოგიკას" დირექტორი

31.03.2022